


მეცნიერება



საქართველო


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

გ ა რ ე ჯ ი

ქანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უროგები

VIII



„მეცნიერება“

თბილისი

1988

საცხოვრისი და სივრცული აღქმა

საცხოვრებელ ნაგებობას, საცხოვრისს, საზოგადოდ, უდიდესი როლი ენიჭება ადამიანისათვის, ინდივიდისათვის და იმ კოლექტივისათვის, რომელიც თავს იყრის ერთ ჭერქვეშ, ერთ კერასთან, ერთი „მფარველი ანგელოზის“ ფრთებქვეშ. საცხოვრისს თავად ადამიანი დააკისრა ურთულესი ფუნქცია — იყოს ზემომქმედი, განმაპირობებელი, განმსაზღვრელი თვით მისივე შემქმნელის (ადამიანის) სივრცითი, თუ სხვა ყოფითი შეხედულებებისა, სამყაროს აღქმისა. ინდივიდმა (თუ ადამიანთა ჯგუფმა), რომელიც საცხოვრისს აგებს და შემდგომში მკვიდრდება მასში, თავის სამყოფი ისე უნდა მოაწყოს, როგორც თავად გაუხარდება, როგორც თავად სურს, თავისი შეხედულებების, წარმოდგენების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას ვერ გაითვისებს, ვერ იგუებს, სიმყუდროვეს ვერ იგრძნობს მის კედლებში, ვერ დაივანებს. არადა, თუ ადამიანს ამგვარი სამყოფი, საყუდელი არ გააჩნია, იგი „გარეულია“, „ნადირია“, „ტყის კაცია“. სწორედ საცხოვრისია ის ერთ-ერთი უპირველესი, რომელიც ადამიანს გამოჰყოფს „ნადირისაგან“, საცხოვრისი — და არა თავშესაფარი, არა ბუნავი. როცა კი ადამიანი სამყოფი აივო, კერა გამართა, დამკვიდრდა. ერთ ადგილზე დამაგრდა, მაშინ დაიწყო მან ცხოვრება ამ სიტყვის სრული გაგებით.

ადამიანი ააგო რა საკუთარი საცხოვრებელი, გარკვეულწილად გამოეყო გარემოს. საცხოვრისი იქცა მისთვის სულიერი დამშვიდების, დაწყნარების ადგილად. სახლში შეეძლო მას თავი ეგრძნო ყოველივეს ბატონ-პატრონად, რადგანაც იმ მიკროსივრცის, რომელსაც სახლი მოიცავს, შემოქმედად ადამიანს საკუთარი თავი მიაჩნდა. ყოველივე, რასაც ეს მიკროსივრცე მოიცავდა, მისი ხელქმნილი; ხელშენაგლები, მისი გონის ნაყოფი იყო; მათში იყო ჩაქსოვილი მისი აზრები, შეხედულებები, მანვე შთაბერა მათ სული, გაასულიერა, გააცოცხლა ისინი. აივო რა საცხოვრებელი, მას შემდეგ იქცა ჭერი ცის სიმბოლოდ, ხოლო იატაკი — დედამიწისა, მას შემდეგ მიენიჭათ კედლებს ზღვარის ფუნქცია (ის, ვინც შიგნით ცხოვრობდა „შინაური“ იყო, ხოლო ვინც გარეთ — „გარეული“). მას შემდეგ იქცა კერა უწმინდეს ადგილად, მას შემდეგ დაივანა დედაბოძში ფუძის ანგელოზმა და სხვა.

საცხოვრისის გაჩენასთან ერთად სამყარომ შეიძინა ის თვისებები სივრცობრიობისა, რომლებიც ამჟამადაც კი აქტუალურია ყოფაში. პირველ რიგში — გაჩნდა უნივერსალური ათვისის წერტილი სივრცეში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სივრცე სახლის გარეთ აღიქმებოდა სწორედ სახლის არსებობისა გამო. სახლმა მიანიჭა სამყაროს სივრცითი აზრი, რითაც, ამასთანავე განიმტკიცა საკუთარი სტატუსი მის ორგანიზებულ ნაწილში.

საცხოვრისმა ადამიანი გამოჰყო კოსმოსისაგან, აღიმართა ამ ორს შორის და ამით შეიძინა შუამავალი, ურთიერთდამაკავშირებელი კომპლექსის თვისება.

ერთი მხრივ საცხოვრისი ეკუთვნის ადამიანს, ასახავს ადამიანის ნივთიერ, მატერიალურ სამყაროს; მეორე მხრივ — აკავშირებს ადამიანს გარე სამყაროსთან, წარმოადგენს რა, გარკვეულწილად, იმავე გარე სამყაროს, შემცირებულს ადამიანისვე ზომებში. მის შიგნით თანაარსებობენ ადამიანი და სამყარო. ალბათ, სწორედ ამიტომაც ასე ხშირი პერეკოდირება ადამიანის სხეულის ნაწილებს, კოსმოსის ელემენტებს და სახლის ნაწილებს შორის [15, 7]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოდელირებული თვისებებით, განსაკუთრებით, აღნიშნებოდნენ ის ობიექტები, რომელთაც მიეწერებოდათ სამყაროს არსებითი თვისებები, და პირველ რიგში — სამყაროს ცენტრის მნიშვნელობანი. ამგვარი ნიშნები მიეწერებოდათ, მაგალითად, ქალაქს, ტაძარს, საკურთხეველს. მათ რიცხვს შეიძლება საცხოვრისიც მიეკუთვნოთ. თუკი ტაძარში სამყაროს სახე შემეცნებულად (ცნობიერად) აღიქმებოდა, საცხოვრისში ქვეყნიერება აღიქმებოდა არაცნობიერად. აღნიშნული თვისება კი მას ორმხრივად, როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად საინტერესოს ხდის. სახლის — საცხოვრისის სტრუქტურა გარკვეულად იმეორებს სამყაროს სტრუქტურას იმ აზრითაც, რომ მასაც გააჩნია ცენტრი, „პერიფერია“ და ა. შ. მზარდი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა ვისაუბროთ საცხოვრისისა და დასახლების სტრუქტურულ ერთგვარობაზეც, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წრიული ფორმის დასახლებანი, რომელთაც გააჩნიათ ცენტრი, რომლის გარშემოც შემოკრებილია დასახლება [15, 7].

სივრცის აღქმა და გათავისება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ადამიანის შემეცნებაში. ყოველი ადამიანური შემეცნება ადამიანის ბუნების ძირითადი თვისებებიდან გამომდინარეობს. იგი თავს იჩენს ხოლმე ყველაზე ელემენტარულ ადამიანურ ქცევებსა და რეაქციებშიც კი. ეს ძირითადი თვისება განმსჭვალავს გრძნობადი არსებობის მთელ სფეროს [3, 25]. ადამიანი მუდამ ესწრაფვის სამყაროს შუაგულად მიიჩნოს ის ვიწრო წრე, რომელშიც თვითონ ცხოვრობს და სამყაროს მასშტაბად აქციოს თავისი პირადი ცხოვრება. როგორც ირკვევა, პრიმიტივები დაჯილდოვებული არიან სივრცის უაღრესად მახვილი აღქმით. ისინი თავიანთი გარემომცველი სამყაროს უფაქიზეს დეტალებსაც კი ამჩნევენ და ძალზე მგრძნობიარე არიან მათი ყოველგვარი ცვლილებებისადმი.

საცხოვრისის აგებამ და ერთ ადგილზე თუნდაც დროებით დამკვიდრებამ, უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. საცხოვრისმა ძირეულად გარდაქმნა ადამიანის ფსიქიკა, მისი სივრცითი შეხედულებები, სოციალურ-ეკონომიური პირობები. საცხოვრისმა ადამიანი გარკვეული კუთხით გამოაცალკევა გარესამყაროს, შეუქმნა მას მიკროგარემო, მიკროკოსმოსი, რითაც თვისობრივად სხვა კუთხით წარმართა მისი აღქმითი პროცესები; რამაც, თავის მხრივ, ადამიანის ახალი გონებრივი პროგრესი განაპირობა.

ადამიანი საზოგადოებრივი წარმოებით და წარმოებაში შრომის გზით ქმნის თავის საცხოვრებელ პირობებს. ეს არის ბუნების გარდაქმნის პროცესი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით [11, 74]. რასაკვირველია, ადამიანის სამყარო ვერ შექმნის გამონაკლისს საერთო ბიოლოგიურ წესებში, რომლებიც წარმართავენ ყველა სხვა ორგანიზმის სიცოცხლეს; მაგრამ მას მოეპოვება ერთი ახალი თვისება, რომელიც ადამიანური არსებობის

განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად გვევლინება. ადამიანმა თითქოს მიაგნო გარე სამყაროსთან შეგუების ახალ მეთოდს. რეცეპტორულსა და ეფექტორულ სისტემებს შორის, რითაც აღჭურვილია ცხოველთა ყველა სახეობა, ადამიანთან ვხვდებით მესამე, შემაერთებელ რგოლს, რომელსაც სიმბოლურ სისტემას უწოდებენ [3, 57]. ეს სრულიად ახალი მონაპოვარი, მთლიანად გარდაქმნის ადამიანის ყოფას. ამ ეტაპიდან ადამიანი, ასე ვთქვათ, რეალობის ახალი განზომილების ბინადარია. განსხვავება ორგანულ რეაქციებსა და გალიზიანებაზე ადამიანის პასუხებს შორის თვალსაჩინოა, თუ პირველ შემთხვევაში გარეგან გალიზიანებებს მოსდევს პირდაპირი და მეყსეული პასუხები, მეორე შემთხვევაში პასუხი შეყოვნებულია. ამჯერად მას აყოვნებს აზროვნების ნელი და რთული პროცესი. ამრიგად ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ უშუალო ყოფაში, იგი სიმბოლური სამყაროს მკვიდრიც ხდება. ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია ამ სამყაროს ნაწილებია [3, 57].

სწორედ ამგვარ სიმბოლურ სამყაროს იტევს სახლიც — საცხოვრისიც, სადაც ეს სიმბოლური სამყარო თანაარსებობს, ასე რომ ეთქვათ — თანაშრომლობს სრულიად ობიექტურ, რეალურ სამყაროსთან, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს ემყარება. მამასადაძმე, საცხოვრისი — სახლი, თავის მხრივ გვევლინება ფენომენად, რომელიც აერთიანებს, ჰკრავს ორ სამყაროს ადამიანის არსებობისა — სიმბოლურს და რეალურს. შესაბამისად, ვეხებით რა საცხოვრისს, ჩვენ შესაძლებლობა გვქმნება შევეხოთ მას ორი კუთხით, ორი განზომილებით. პირველი — სახლი, როგორც რეალური, პრაქტიკული კომპლექსი და მეორე, როგორც სიმბოლური სამყაროს წარმოსახვითი ობიექტი.

ვეხებით რა სახლს — საცხოვრისს, როგორც პრაქტიკულ, რეალურ კომპლექსს, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ მისი ეკონომიკური, სოციალური მხარე; გავანალიზოთ მისი როლი ცალკე ინდივიდისა თუ საზოგადოების, გარკვეული სოციალური ორგანიზმის არსებობაში, ცხოვრებაში. შესაძლებლობა გვეძლევა ავავოთ სოციალური თუ ეკონომიკური მოდელი ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებისა.

რაც შეეხება საცხოვრისს, როგორც სიმბოლური წარმოსახვების ობიექტს, აქ საქმე სხვაგვარად გვაქვს. თუკი ჩვენ შევეცდებით აღნიშნული კუთხით გავანალიზოთ იგი, მაშინ შესაძლებლობა გვეძლევა მასში დავინახოთ ამა თუ იმ სოციალური ორგანიზმის (ოჯახის, გვარის) სულიერი ცხოვრების მხარე; ის ძირითადი, განუმეორებელი, თვითმყოფადი, რაც არსებითად განასხვავებს მას სხვა ნებისმიერი სოციალური ორგანიზმის ანალოგიური ობიექტებისაგან. ე. ი. ამ შემთხვევაში საცხოვრისი გამოდის როგორც განმასხვავებელი. მასში ჩანს ის ნიშნები სოციალური ორგანიზმის სულიერი კულტურისა (ენობრივი, სამყაროს სივრცული წარმოსახვა, მითოსური, რელიგიური...) რითაც იგი განსხვავდება სხვა, მსგავსი ერთეულებისაგან.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მიუხედავად ასეთი ორგვარი სახოვნებისა, საცხოვრისი ერთიან, განუყოფელ ფენომენს წარმოადგენს, რომლის შიგნითაც თანაარსებობენ ურთიერთგანმამაპირობებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, ადამიანის ცნობიერებაში აღქმული რეალური და ირეალური სამყარო.

როგორც ცნობილია, ადამიანი გარემოს ცალკე გამლიზიანებლებითა და მათი კომპლექსებით კი არ განიცდის, ე. ი. გამლიზიანებლებს კი არ შეიგრძნობს არამედ ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად მოცემულ საგანთა სახით

ალიქვამს [7, 91]. ყოველდღიურ, ნორმალურ პირობებში გარემოს რეალური ზემოქმედება ადამიანის სხვადასხვა მოძალობისა და ინტენსივობის შეგრძნებების სახით კი არ განიცდება, არამედ მოცემული ობიექტური საგნების სახით. ადამიანი გარემოს კი არ შეიგრძნობს, არამედ ალიქვამს [7, 92]. მაშასადამე, ეს თვისება ადამიანური შემეცნებისა ჩვენ მუდამყამს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და მისი გათვალისწინებით უნდა მივუდგეთ მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროს, კულტურის ნებისმიერ ელემენტს, ადამიანის ნებისმიერ ნამოქმედარს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ ალქმა ცალკე შეგრძნებების ჯამი კი არ არის, არამედ გარკვეული სტრუქტურის მქონე რეალობა. ალქმა არა მხოლოდ რაიმე საგნის ხატია, არამედ კონკრეტული ადამიანის მოქმედებაცაა — მოქმედება, რომელიც მიმართულია ობიექტური საგნის აღსაქმნელად. ალქმა ადამიანის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა, ამიტომ, როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, ალქმაშიც თვით ალქმელი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი გამოცდილება, მისი მისწრაფებები, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები ვლინდება, ალქმა გარკვეულ ფარგლებში პიროვნულ ხასიათს ატარებს [7, 102].

ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე, როცა ისახებოდა საცხოვრისის ფენომენი, როცა არ არსებობდა არც ფილოსოფია და არც მეცნიერება საერთოდ, ადამიანები საკუთარ შეხედულებებს მითოლოგიურ წარმოდგენებში აყალიბებდნენ. სამყარო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ანალიზის ობიექტს. ურთიერთობა ადამიანსა და სამყაროს შორის იყო ემოციით განპირობებული და გაუცნობიერებული. ეს ურთიერთობა იყო არა მსოფლმხედველობა, არამედ სამყაროთშემეცნება. იმ პერიოდში სამყაროს ალქმა ხდებოდა არა იმდენად გონით, რამდენადაც შეგრძნებებით და ალქმით. ალბათ ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ სამყაროსთან ურთიერთობის მეტ-ნაკლებ ასახვას სამყაროს მხატვრულ გააზრებაში ხედავენ [14, 3]. ბუნებრივი გარემო და ადამიანის ყოფა განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენდა. ბუნებრივი მოვლენები მუდმივად გადაიზრდებოდა ადამიანური განცდის აღმნიშვნელ ტერმინებში, ადამიანური განცდა კი — კოსმიურ მოვლენათა ტერმინებში [18, 25].

უძირითადესი განსხვავება თანამედროვე და ძველი ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებას შორის ის არის, რომ თანამედროვე ადამიანისათვის მოვლენათა სამყარო, პირველ რიგში არის — „ის“, ხოლო ძველი ადამიანისათვის (ასევე პრიმიტიული ადამიანისათვის), იგი არის „შენ“. „შენ“ არა მარტო ახლობელი და გასაგებია, არამედ ორმხრივ დინამიკურ ურთიერთობაში მეტი ემოციური დატვირთვაც აქვს. ამიტომაც რომ პირველყოფილ ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი ფორმა აზროვნებისა, მეტყველების ერთი პირი, გამოთქმის ერთი საშუალება, გზა, ნაირსახეობა — პირადი [14, 26]. მისი აზროვნება, მოქმედებანი და შეგრძნებები, ძირითადად, სწორედ ამგვარ ალქმაზეა დაქვემდებარებული.

კონტრასტი ძველ და თანამედროვე ადამიანს შორის შეინიშნება მაშინაც, როცა საქმე ეხება მიზეზობრიობის კატეგორიიდან სივრცის კატეგორიისაკენ მიმართებას. ჩვენ სივრცეს განვიხილავთ როგორც უსასრულოს, განუწყვეტელს და ერთიანს. აღნიშნული თვისებები, როგორც ვიცით, შეუძლებელია შეგრძნებებით აღვიქვათ — გავიცნობიეროთ. პირველყოფილი ადამიანის სივრცითი წარმოდგენები დამყარებულია კონკრეტულ ორიენტირზე, ისინი შეეხებიან გარემოს და გააჩნიათ ემოციურობის ღრმა კვალი; ეს წარმოდგენები

იმდროინდელი ადამიანის შემეცნებაში შეიძლება იყოს შორეული, ახლობელი, მეგობრული და მტრული. აქედან გამომდინარე იგი (პირველყოფილი ადამიანი) აღიარებს, რომ უბრალო ჩნდივიდუალურ დაკვირვებათა მიღმა არსებობს კოსმოსური მოვლენები, რომლებიც სივრცის მხარეებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობებს. მაგ.: დღე და ღამე უკავშირდება აღმოსავლეთს და დასავლეთს სიცოცხლისა და სიკვდილის გავებით. ან კიდევ, მაგ.: მესობოტამიურმა ასტროლოგიამ განავითარა ვრცელი სისტემა, ერთი მხრივ ციურ მოვლენებსა და სხეულებს შორის და მეორე მხრივ, მიწიერ გარემოს შორის შეთანხმებისა [14, 40]. ამის გამო მაშინდელი ინდივიდის კოორდინირებული სივრცითი შეხედულებების სისტემა განპირობებულია არა ობიექტური ლოგიკური აზროვნებით, არამედ ღირებულებათა ემოციური აღქმით.

მაშასადამე, უდიდესია საცხოვრისის როლი ადამიანის სივრცითი შეხედულებების სისტემების ჩამოყალიბება-გააზრებაში. საცხოვრისმა იქონია არსებითი გავლენა ისეთი შინაგანი ოპოზიციების ფორმირებაზე, როგორსაც წარმოადგენს გავება — „შინ“ და „გარე“. ადამიანის ცნობიერებაში გარემომცველი სამყაროს, სივრცის, ორად გაყოფამ „შინ“ და „გარე“ ნაწილებად, თავისთავად წარმოშვა ამ სივრცის შემადგენელი ელემენტების გაყოფაც ასევე ორ ნაწილად — „შინაურად“ და „გარეულად“. ვინც და რაც „შინ“-ში შემოდიოდა — „შინაურად“ იქცა, ხოლო ვინც და რაც „გარე“-ში — „გარეულად“.

ამრიგად, სამყაროს ორ ნაწილად გაყოფამ სივრცითი თვალთახედვით, წარმოშვა ორი სამყარო ადამიანის ცნობიერებაში (უფრო სწორად, დააფიქსირა მათი არსებობა). „შინა“ სივრცეს, რომელიც ადამიანის შექმნილი და ხელქმნილი იყო, რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომლის ნიადაგზეც იგი წარმოიქმნა, რომლის არსებობაც ქვაკუთხედად დაედო ამ სივრცული ცნების (რომელიც შემდგომში სოციალურად გარდაიქმნა) ჩამოყალიბებას. სწორედ ეს „რაღაც“ უნდა ყოფილიყო ის ცენტრი, რომლის გარშემოც თავი მოიყარა ყოველივე იმან, რასაც „შინა“ ცნება აერთიანებდა; რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ადამიანის „შინა“ სამყარო, რომელიც „შინა“ სივრცის ათვისების წერტილად იქცა. სწორედ ამგვარ ცენტრად, ამგვარ ქვაკუთხედად გვევლინება კერა. საცხოვრისში იგია მთავარი კომპონენტი, ყოველივე მის გარშემო ტრიალებს; შეიძლება ითქვას, რომ იგია თავად საცხოვრისის სიმბოლო; იგია მისი საწყისი. თუ კერა ჩაქრებოდა, ოჯახიც ქრებოდა, თუკი საცხოვრისი ცხოვრობდა — კერაც მუდმივად ენთო.

უძველესი ნაგები საცხოვრისები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეულნი, წრიული ფორმისანი არიან [12, 16]. უძველესი არქიტექტურული ფორმა, რომელიც ადგილობრივ აღმოცენდა და ჩამოყალიბდა [16, 349] წრიული ნაგებობა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ წრიული ფორმა მხოლოდ კავკასიელ ადრემიწათმოქმედთა არქიტექტურის დამახასიათებელი ფორმა როდია. მეზოლითის ხანის პალესტინელი შემგროვებლები ბინადრობდნენ არა მხოლოდ ბუნებრივ თავშესაფარებში, არამედ მომცრო, 3—9 მ დმ-ის, მრგვალ მიწურებში, რომელთა ცენტრში კერა იყო გამართული. ამგვარი ნაგებობანი ნაპოვნია მურებიითის (ჩრდილო სირია) ნამოსახლარზეც [20, 36—39].

არქიტექტურული ფორმა, როგორც ფორმა ნებისმიერი საგნისა, ემსახურება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ოღონდაც ფორმის „უტილიტარობა“ სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა მის ასახვას კულტურის სის-

ტემაში და არსებულ აზროვნებაში; მოცემულ სიტუაციაში — მოთოსურში, წარმოსახვითში. არქიტექტურაც ხომ კულტურის ერთ-ერთი სფეროთაგანია, რომელშიც ხდება სივრცითი წარმოსახვების ასახვა. ძველ მიწათმოქმედთა ნაგებობათა გეგმარებაში, მათ ყოფით და საკრალურ არქიტექტურაში გამოიხატებოდა იგივე წარმოდგენები გეომეტრიზებული სივრცისა, რაც მათ ყოფასა და სულიერ კულტურაში გააჩნდათ.

როგორც აღვნიშნეთ, უძველეს საცხოვრისთა ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე წრიული გეგმარება გვევლინება. საინტერესოა ის, თუ რა ადგილი უჭირავს წრეს, როგორც სივრცულ ფორმას ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში.

უნდა აღვნიშნოს, რომ წრე რაღაც ჩაკეტილ, გარესამყაროდან გამოყოფილ სივრცეს განასახიერებს, რომელიც შეუღწევადია გარედან და გამოუღწევადია შიგნიდან. ვფიქრობთ, ეს კარგად ჩანს მაგიურ მოქმედებებში.

წრეს შემოუხაზავენ ხოლმე, დაკლულ ქათამს, რათა იქიდან არ გავარდეს ფართხალი და მის შიგნით დალიოს სული. ე. ი. რიტუალის შემსრულებელი წრეში რაღაც საკრალურ შინაარსს დებს; აღნიშნული ფაქტი ასე თუ ისე ხსნის წრის შინაარსს: წრე — შეკრულია, დახურულია, გაუვალაია, შეუვალაია.

იმ შინაარსობრივი დატვირთვის გასარკვევად, რომელსაც წრეს ანიჭებენ, კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. როგორც აღვნიშნეთ ეს კარგად ჩანს მაგიური მოქმედებების შესრულების დროს. ერთ-ერთმა შემლოცველმა ექიმაშმა, რომელიც დასთანხმდა მთხრობელს, მხოლოდ ნაწილი შელოცვებისა მოეთხორო, ხის ჩხირით თავის გარშემო წრე შემოიხაზა და წრის შიგნით დაბალ სკამზე დაჯდა. კითხვაზე — თუ რატომ შემოიხაზა წრე, მან უპასუხა: „ამ წრის იქით სიტყვის ძალა არ გადმოვა, შენ მხოლოდ ცარიელ სიტყვებს გაიგონებო“. საყურადღებოა ავადმყოფთან მყოფი შემლოცველის მოქმედება, რომელიც შელოცვის წინ გარს შემოუვლის (წრეს შემოხაზავს), ჩხირით ან რაიმე საგნით წრეს შემოხაზავს ავადმყოფის გარშემო [2, 196].

წრეხაზის მაგიური დანიშნულებით გამოყენება კარგად შემოუნახავს ქართულ ხალხურ ზღაპრებსაც. ამის ერთ-ერთ ნიმუშს ზღაპარი „ყარამანი“ გვაძლევს: „გზაში ყარამანი და მისი ცოლი დარჩნენ. აიღო ყარამანი ხმალი და შემოხაზა ირგვლივ. დარჩნენ იქ“ [2, 197]. აღნიშნულ მოქმედებაში კარგად შეიმჩნევა წრის შემომხაზველის დამოკიდებულება წრესთან. ყარამანი წრე შემოიხაზა იმიტომ, რომ მას თავი მის შიგნით მშვიდად ეგრძნო. მან წრის საშუალებით გამოიცალკევა საკუთარი თავი გარემოსაგან, შეიქმნა მიკროგარემო რომელშიც თავი „შინაურად“ იგრძნო — წრის შიდა სივრცე მან „სახლად“ გაიხადა.

აქვე უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ წრის შემომხაზვისათვის მაგიური დანიშნულების მინიჭება მსოფლიოს სხვა ხალხებშიც გვხვდება. მას უნივერსალური მოვლენის სახე ჰქონდა წარმართულ სინამდვილეში. და რა თქმა უნდა, განვითარების საერთო კანონზომიერებიდან არც კავკასია წარმოადგენდა გამონაკლისს. კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო ხანებამდე შემონახული იყო წრემირგვალის მაგიური დანიშნულება [1, 22].

გვხვებით რა წრის ხასიათს, კერძოდ მის ფორმით შინაარსს, კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეგვიძლია ქართველი ხალხის ყოფიდან. წრის, როგორც ჩაკეტილი სივრცის სახე კარგად ჩანს ხალხურ თამაშობებშიც. მაგ.: „ლახტი“, „ზურგობანა“ [13, 87] და სხვ.

წრიული მოძრაობანი დომინირებს მრავალ ქართულ ხალხურ ცეკვაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია, „ხორუმი“, თითქმის ყველა სახის ფერხულები, „ძაბრა-ლე“ და კიდევ ბევრი სხვა.

წრის, როგორც გეომეტრიული ორნამენტის ანალიზი მოცემული აქვს თავის გამოკვლევაში ქართული ხალხური ორნამენტის შესახებ ი. სურგულაძეს [9, 20].

წრის შესახებ ბოლოს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ (ქართული ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით) იგი განასახიერებს ჩაკეტილ, გამოყოფილ, გამოცალკევებულ სივრცეს, რომელიც შეუვალა ვარედან და გამოუღწევადია შიგნიდან. წრის შიგნით ბრუნავს, ტრიალებს მაგიური სული, წრეშია იგი ცხოველყოფელი. გამოაღწევს რა იგი მის გარეთ, ჰკარგავს ძალას. ე. ი. წრე წარმოადგენს საშუალებას მაკროკოსმოსიდან მიკროკოსმოსის გამოყოფა-გამოცალკევებისა. მიკროკოსმოსი მიკროკოსმოსობს წრის (საზოგადოდ შემოხაზულის, შემოფარგლულის) შიგნით. გამოვა რა იგი მის გარეთ, ჰკარგავს თავისთავადობას, იგი მაკროში ითქვიფება, ხდება მისი უმნიშვნელო ნაწილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წრის ამგვარი ხედვა მხოლოდ ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის როდია დამახასიათებელი. იგი საზოგადოა. უბრალოდ განსხვავებული შეიძლება იყოს ამგვარი ხედვის ფორმები სხვადასხვა ხალხებში, სხვადასხვა ეთნოსებში.

შევვხებით რა წრის შინაარსობრივ გადაწყვეტას ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ჩვენ არამც და არამც არ გვქონდა მიზნად ის, რომ გავველო პარალელები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლთა არქიტექტურასა და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფასთან. ამის საშუალებას უბრალოდ უზარმაზარი ქრონოლოგიური სხვაობაც არ მოგვცემს. ჩვენ გვსურდა მხოლოდ დაგვეჭიროს ის შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც დევს წრეში და რომელიც თითქმის მსგავსია ყველა ეთნოსში (წრე — როგორც გამომყოფი, გამომცალკევებელი), ხალხში, განვითარების ძალზე ადრეულ საფეხურზეც კი; ვფიქრობთ, წრის ამგვარი ხასიათი გარკვეულწილად თამაშობდა როლს წრიული არქიტექტურის ფორმირებაში. მით უმეტეს, რომ წრიული არქიტექტურა უფრო ადრეულია და არქაულია, ვიდრე სწორკუთხა [14, 76—77].

ჩნდება რა საცხოვრისი, დგება საკითხი სივრცის სხვაგვარი ორგანიზაციისა. განსაკუთრებით აქტუალურია ის ნაწილი, რომელიც გამოიხატება ცნებებით „შინ“ და „გარე“.

საზოგადოების მიერ სივრცის გააზრების პრობლემები მეცნიერებს დიდი ხანია აინტერესებს და მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სრულყოფილადაა დამუშავებული მისი ფორმები, ნიშნები თუ ეტაპები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცნებები, გამოხატავს მთელი სოციალური ჯგუფის, კოლექტივის შეხედულებებს და მისი ნიშან-თვისებებიდან მომდინარეობს. სხვაგვარად რომ ითქვას, როდესაც სოციალური ჯგუფი შეიცნობს „შინა“-ს, სივრცის გარკვეულ ნაწილს, როგორც მისი განფენის ტერიტორიას, მაშინ უნდა აღმოცენდეს ცნება „გარე“, რომელიც ამ ტერიტორიას არ ემთხვევა. თითოეული ეს ცნება გულისხმობს განსხვავებულ პარამეტრებს და ბიო-სოციალური ნიშნების გარემოს, რომელთა ზემოქმედება სპეციფიკური, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული პირობებით მოქმედებს საზოგადოების ცხოვრებაზე [10, 133].

როგორც ფიქრობენ, სივრცის „შინა“ და „გარე“ სამყაროებად დანაწილება უძველეს დროს, კერძოდ იმ ხანებში უნდა მომხდარიყო, როცა სოციალურმა ჯგუფმა თავისი სამეურნეო ტერიტორია დაიმკვიდრა [10, 141]. მაშასადამე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „შინა“-სა და „გარე“-ს, როგორც სივრცული გაგებების ფორმირება, ჩამოყალიბება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამიწათმოქმედო კულტურების გაჩენას ემთხვევა; სწორედ ამ პერიოდში დასახლდა, ამ სიტყვის სრული გაგებით, ადამიანი ამ მხარეში [19, 17]. სწორედ მაშინ გაითავისა შეცნეულად მან თავისი სამყოფი, თავისი სამკვიდრო.

მომდევნო ეტაპი საცხოვრისის როგორც სივრცული აღქმის გამომხატველი ფენომენის (და არა მარტო სივრცული) განვითარებაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე დგება მაშინ, როცა ჩნდება ოთხკუთხა ფორმის ნაგებობანი. ჩვ. წ.-მდე IV ათასწლეულის შუა ხანებიდან, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებიდან, დგება დრო გარდატეხებისა, რომლებიც აღმ. ამიერკავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში სხვადასხვა სიმძლავრით ვლინდებიან [16, 270].

გადასვლა სწორკუთხა ფორმის საცხოვრისზე ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ იზრდება ადამიანის დამოუკიდებლობა ბუნებისაგან, თუ როგორ ქმნის ის ახალი კულტურისათვის დამახასიათებელ ფორმებს; არქიტექტურა სწორხაზოვანი და კუთხოვანი ფორმებისა — არა მარტო ადამიანის მზარდი ძლიერების გამოხატუა, არამედ მის მიერ ბუნების მატერიალიზებული გადმოცემა, გამოვლინებაა ჭიდილისა ადამიანსა და ვარემოს (მის მრავალრიცხოვან ფორმებთან) შორის [17, 9]. სწორკუთხა ფორმის ნაგებობების გაჩენა დაკავშირებულია დამჯდარი ცხოვრების წესის საბოლოო დამკვიდრებასთან და სამყაროს შესახებ, როგორც ურთიერთგანმავლობებელ მოვლენათა სისტემის შესახებ წარმოდგენის ფორმირებასთან. სწორკუთხა საცხოვრისის სიმბოლური გაგება (ხედვა) თვალნათლივ შესამჩნევია ჩათალ-ჰუიუქის ნამოსახლარზე: გარკვეული გამოისახულები („ღვთაებები“; ცხოველები) ასწლეულთა განმავლობაში გამოისახებოდნენ ინტერიერში ერთსა და იმავე კედელზე. „ღვთაება“ გამოისახებოდა დასავლეთ კედელზე, ხარები, არსებითად, ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლებზე [20, 102—103].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წრიული საცხოვრისის (თოლოსის) ოთხკუთხა ნაგებობად (მეგარონად) განვითარების თვალნათლივ სურათს წარმოადგენს ხიზანანთ გორის მრავალფენიანი ნამოსახლარი [4]. და საერთოდ მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში საბოლოოდ მკვიდრდება ოთხკუთხა ფორმის საცხოვრისები. აღნიშნული პერიოდის თვალსაჩინო ძეგლებია: ქვაცხელები [16], გუდაბერტყა [6], ბერიკლდეები (ძეგლის გათხრა მიმდინარეობს).

ადამიანის კიდევ უფრო დამკვიდრებამ, დაფუძნებამ, დასახლებამ მეტად გაამძაფრა სივრცული აღქმა გარე სამყაროსი. სივრცის „შინა“ და „გარე“ სამყაროებად დაყოფა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ცნობილია, თუ რა გულმოდგინედ იცავდნენ ცალკეული ჯგუფები თავიანთ საარსებო სივრცეს და რა ურთიერთობა ჰქონდათ „უცხოსთან“ — სხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ურთიერთობები მუდმივი მესისხლეობითა და დროებითი სამშვიდობო კავშირებით გამოიხატებოდა. აქ უკვე შეიძლებოდა სოციალურ ჯგუფს საკუთარი ტერიტორია

„ნიშინად“ ჩაეთვალა საპირისპიროდ მთელი დანარჩენი სამყაროსი, რომელიც მისთვის უცხო და შესაბამისად სასიფათოც უნდა ყოფილიყო.

საცხოვრისის ფენომენის ჩამოყალიბება — განვითარების ადრეულ ეტაპზე, მისი არქიტექტურული ფორმის ანალიზის მიხედვით, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი სახე ფორმითი გადაწყვეტისა. პირველი — მრგვალი, თაღოვანი ნაგებობა და მეორე — სწორკუთხა, ოთხი კედლით შემოზღუდული, ბრტყელი სახურავით დახურული ნაგებობა. ორივე ეს ფორმა არქეოლოგიურად დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე [16].

ვეხებით რა საცხოვრისს, კერძოდ მის სივრცულ მხარეს, ვფიქრობთ, უნდა გამოვყოთ მისი, როგორც ადამიანის სივრცული შეხედულებების განმაპირობებელი ფენომენის ორბუნებოვნება. საცხოვრისი, როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდს (თუ ინდივიდებისაგან შემდგარ ამა თუ იმ სოციალურ ერთეულს) გამოჰყოფს მთლიანი სამყაროდან და უქმნის მას თავის მყუდრო, შინაურ გარემოს. ეს მიკროსამყარო ადამიანისათვის უფრო მისაწვდომია, ხელშესახებია, გასაგები და შინაურია, რადგანაც იგი მისი ხელქმნილია, მისი შექმნილია; თავად ადამიანია ამ სამყაროს „მშობელი“, შემოქმედი. ამიტომ იგი ამ მიკროსამყაროში თავს ყოველთვის ბატონად გრძნობს, ყოველივეს უფროსად გვევლინება. იგი თავისი საცხოვრისის — „მიკროკოსმოსის“ მეუფეა. თავის საუფლოში მას ყოველივე ხელეწიფება. აქ მას ყოველივე გააჩნია (რა თქმა უნდა მაშინდელი მოთხოვნილებების მიხედვით), ყველაფერს იმ სახელს არქმევს და იმ თვისებებს ანიჭებს, რომლებიც თავად სურს. აქ იგი ყოველთვის ასულიერებს, სულდგმულად აქცევს, შუა ცეცხლის თავზე დაკიდული ჯაჭვი მაშაქაცურის სიმბოლოა, ქვაბი — ქალურის; ორივე ერთად ოჯახის ერთიანობის სიმბოლო [5, 127—128]. ეს სულდგმულთქცევა, ნივთებისადმი სულის ჩადგმა ძირეულად განსხვავდება ამავე ადამიანის მიერ გარე სამყაროს, მაკროკოსმოსის შემადგენელი ელემენტების გასულიერებისაგან. შინასამყაროს ნივთები ადამიანისათვის უფრო ახლობლნი, გასაგებნი და კეთილგანწყობილნი არიან, ვიდრე გარესამყაროს შემადგენელი ელემენტები. შინაური ცეცხლი, რომელიც ადამიანს კერაში უნთია კეთილია, იგი მას ემსახურება, ხოლო გარეთა ცეცხლი ბოროტია, გამანადგურებელია, ყოველივეს მშთანთქმელია. შინ, ადამიანს საცხოვრისის ყოველ კუთხეში კეთილი ანგელოზები ჰყავს ჩასახლებული, ისინი მას მფარველობენ, ხელს უშართავენ. გარეთ კი უკიდევანო, ათასნაირი ღვთაებებით (კეთილი თუ ბოროტი) დასახლებული შეუცნობი სამყაროა.

საცხოვრისი სივრცული შეხედულებების მხრივ ადამიანის მსოფლმხედველობას ორი მხრით განაპირობებს. პირველი — საცხოვრისი ადამიანის მიერ აღქმულ მთელს სამყაროს ჰყოფს ორ ნაწილად: „შინა“ და „გარე“-დ და მეორე — „შინას“ გადააქცევს სამყაროდ, რომელშიც ადამიანს ბატონობის, მბრძანებლობის, საშუალებას აძლევს. საცხოვრისის მიერ შექმნილი მიკროსამყარო ადამიანის ხელქვეითია. ამ გაგებების — „შინა“-ს და „გარე“-ს, ჩასახვის ეტაპად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა ვივარაუდოთ საცხოვრისის ჩამოყალიბება-განვითარების ხანა; ადამიანის (კოლექტივის) დასახლების, ერთ ადგილზე მეურნეობრივად დაფუძნების ეტაპი.

სწორკუთხა, ბანით დახურული სახლები კიდევ უფრო ავითარებდნენ ადამიანის სივრცულ შეხედულებებს. ოთხი კედლის არსებობამ სახლში და სივრცე ოთხად გაჰყო, ყოველ კედელს შესაბამისად თავისი საკუთარი სამხარეო დანიშნულება მიანიჭა. ის რაც იდგმებოდა ან იხატებოდა აღმოსავლეთ კე-

დელთან, იგი არ დაიდგმებოდა და არ დაიხატებოდა სამხრეთ ან სხვა კედელთან და პირიქით. ჭერმა — ცარგვალის, ცის სიმბოლო მიიღო, დედაბოძმა — ჭერისა და იატაკის, ცისა და დედამიწის „შემაერთავის“ სიმბოლო. შესაძლოა ეს შეთანხმება ადამიანის სივრცულ ხედვაში არსებულ სამ საკნელს, სამყაროს სამ ნაწილს — ზესკნელს, სკნელს, ქვესკნელსაც აღნიშნავდეს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ეს ვერტიკალური მიმართება შეიმჩნევა ტრადიციულ საცხოვრისში — „დარბაზში“. დარბაზი მთელი მხატვრული სამყარო იყო. დედაბოძი წარმოადგენდა სიმბოლოს ოჯახის უფროსისა და მისი ოჯახის მთლიანობისა — წერს რ. სირაძე — ამიტომაც იყო დედაბოძი ერთი (უნდა აღინიშნოს, რომ დედაბოძის მართობა, ცალობა მხოლოდ ამით არ უნდა ყოფილიყო გაპირობებული. ბევრი საყრდენი დარბაზის სივრცეს დააქუცმაცებდა, დაჰყოფდა. ამ შემთხვევაში პირველადი, განმსაზღვრელი, ალბათ, მაინც პრაქტიკული დანიშნულება იყო — პ. ბ.) ამიტომაც იდგა იგი დარბაზის შუაგულში (თუმცა სხვაგან მაინც ვერ იდგმებოდა, სიმძიმის ცენტრი გადახურვის შუაგულში მოდიოდა — პ. ბ.) და ამიტომაც დაჰნათოდა თავზე მზე. დედაბოძს, რომ ჭერი ეყრდნობოდა, ის ოჯახის ზეცასთან კავშირს გამოხატავდა. სახლში, ცენტრში კერიაზე ენთო ცეცხლი, რომელიც არასოდეს არ უნდა ჩამქრალიყო ლამით ნაღვერდალს ნაცრის ქვეშ ინახავდნენ და დილით აღვივებდნენ. ჩამქრალი კერაც მზის სიმბოლო იყო. კერა თუ არ ჩაქრებოდა, მზეც არ მოაკლდებოდა ამ ოჯახს, მზე, რომელიც დედაბოძიდან დაჰყურებდა ოჯახს და თავის მხრივ იმ მაღალი მზის სიმბოლო იყო. ხოლო, თუ მზე არ მოაკლდებოდა ოჯახს, თუ არ ჩაქრებოდა კერა, იგი აღესილი იქნებოდა სიკეთით და მშვენიერებით, მზეგრძელობა იქნებოდა ამ ოჯახში [8, 23].

ლიტერატურა

1. ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურეთი, თბ., 1939.
2. ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.
3. ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983.
4. ი. კიკვიძე, ხიზანანთ ვორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.
5. ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.
6. ს. ნადიმაშვილი, გედაბერტყა-ციხიაგორა, ლიახვი, გორი, 1963.
7. რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1983.
8. რ. სირაძე, სახისმეტყველება, საუბარი ქართულ ესთეტიკაზე, თბ., 1986.
9. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.
10. ი. სურგულაძე, სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, მსე, XXIII, თბ., 1987.
11. ი. ტაბიძე, ადამიანი — სინამდვილე და ოცნება, თბ., 1986.
12. ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.
13. ზ. შერეზადაშვილი, ქართული ხალხური თამაშობანი, თბ., 1980.
14. Антонова Е. В. Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии; М., 1982.
15. Байбурин А. К. Жилище в обрядах и представлениях восточных славян. Л., 1983.
16. Джавахишвили А. И. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тбилиси, 1973.

17. Лапин В. В. Об основной тенденции в развитии жилой архитектуры. «Реконструкция древнейших отношений по археологическим материалам жилищ и поселений». Л., 1973.

18. Франкфорт Г., Франкфорт Г. А., Уилсон Дж., Якобсен Т. В преддверии философии, М., 1984.

19. Археология СССР. Энеолит СССР, Москва, 1982.

20. J. Mellaart, The Neolithic of the Ancient Near East; London 1975.

П. БУХРАШВИЛИ

ЖИЛИЩЕ И ПРОСТРАНСТВЕННОЕ ВОСПРИЯТИЕ

Резюме

Жилищу сам человек определил сложнейшую функцию — быть, воздействующим, определяющим, указывающим пространственным и других бытовых взглядов, восприятие мира, своего создателя (человека). Человек сам себе построил жилище и этим, как бы в определенном смысле отделился от окружающей среды. Совместно с созданием феномена жилища, миру придалась те свойства пространственности, которые актуальны и в нынешнем быту. В первую очередь в пространстве появилась универсальная точка отчета. Также надо отметить, что пространство вне дома воспринималось именно с помощью существования жилища. В определенном смысле жилище придало миру пространственную сущность и этим укрепило собственный статус в его организационной части. Жилище человека отделило от космоса, воздвиглось между ними и этим стало — связывающим и между определяющим комплексом.

Феномен жилища сыграл определяющее воздействие на формирование таких внутренних оппозиций, которые представляют понятия — «внутри» и «вне» («*დობ*» и «*გობ*»). Разделение пространства на эти две части «внутри» и «вне» должно было произойти в далеком прошлом, именно в ту эпоху, когда социальная группа определила себе хозяйственную территорию. На территорию Восточной Грузии этот этап пространственного мышления совпадает с периодом развития раннеземледельческих культур. В данном периоде достигший уровень производственных сил, уже определял оседлый образ жизни и размножение населения.